ხელშეკრულება № 20

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 22 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნაზი სადილიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს ორგსერვისი (შემდგომში - მიმწოდებელი) ხვიჩა ნემსაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ქაღალდი (GPV 30197630), ჭიკარტი (GPV 30197120),, სტეპლერის ტყვიები (GPV 30197100),, სტეპლერი (GPV 30197110),, საშლელი (GPV 30192100),, ფანქარი (GPV 30192131),, ფლომასტერი (GPV 30192124),, მარკერი(GPV 30192125), მარკერი დაფის GPV 30192125), საინფორმაციო დაფა(GPV 30195000),, მაგნიტური დაფა (GPV 3019592), ფლივჩარტი (GPV 30195913), კორექტორი (GPV 30192160), კალამი ბურთულიანი (CPV 30192121) კონვერტი (GPV 30199221) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 173 ლ და 75 თეთრი (ას სამოცდაცამეტი ლ და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში 22 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით შემსყიდველის მისამართზე (წყალტუბო. სოფელი ქვედა მესხეთის საჯარო სკოლა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;
6.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილების დროს) განისაზღვროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობა;
6.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, განისაზღვროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობა.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა მისამართი: წყალტუბო. სოფელი მესხეთი ტელეფონი: 577 965527 საიდენტიფიკაციო კოდი: ს.კ 221299832 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: **(GE62BG 0000000119484100)** დირექტორი /ნ. სადილიანი/ ნ. სადილიანი	მიმწოდებელი: შპს ორგსერვისი მის.: ქუთაისი. ჭავჭავაძის გამზირი #51/2ა ტელ: 0431 27 05 78 ს/კ : 212693851 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს : თიბისი ბანკი ბანკის კოდი : TBCBGE22 ა/ა : GE32TB0300000030467356 დირექტორი /ხ. ნემსაძე / (ხელმოწერა)

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1.	დაფა მარკერის.მაგნიტური საკიდი	ცალი	1	35ლ	35ლ
2	სტეპლერი	ცალი	1	10 ლ	10ლ
3	სტეპლერის სკობი (ტყვიები)	ცალი	1	0,55ლ	0,55ლ
4	ჭიკარტი მრავალჯერადი ფერადი გამჭირვალე	ცალი	1	2,50ლ	2,50ლ
5	დაფა საინფორმაციო	ცალი	1	0,60ლ	60ლ
6	მარკერი დაფის	ცალი	1	1,90ლ	1,90ლ
7	მარკერი დაფის	ცალი	1	1,90ლ	1,90ლ
9	მარკერი დაფის	ცალი	4	1,80ლ	7,20 ლ
10	კალამი ბურთულიანი	ცალი	20	0,30 თ	6ლ
11	ფანქარი უბრალო	ცალი	4	0,40თ	1, 60ლ
12	ფანქარი ფერადი	ცალი	1	4,30ლ	4, 30 ლ
13	ფლომასტერი	ცალი	1	4, 70ლ	4, 70ლ
14	საშლელი	ცალი	1	0,50თ	0,50თ
15	საშლელი კომბინირებული	ცალი	1	0,30თ	0,30თ
16	კორექტორი ფანქარი	ცალი	2	1, 25ლ	2, 50ლ
17	კორექტორი ფუნჯით	ცალი	1	1ლ	1ლ
18	ქაღალდი ქსეროქსის ფერადი	ცალი	1	9ლ	9ლ
19	ქაღალდი ფლიფჩარტის	ცალი	1	8,50ლ	8,50ლ

20	საკანავი წიგნის	ცალი	12	0,80თ	9,60ლ
21	კალამი ბურთულიანი წითელი	ცალი	1	0,60თ	0,60თ
22	კალამი ბურთულიანი შავი	ცალი	1	0,60თ	0,60თ
23	კალამი ბურთულიანი ლურჯი	ცალი	2	0,60თ	1,20ლ
24	კალამი	ცალი	1	1,65ლ	1,65ლ
25	კონვერტი	ცალი	7	0,20თ	1,40ლ
26	კონვერტი დიპლომატი	ცალი	5	0,10თ	0,50თ
27	ჭიკარტი	ცალი	1	0,75თ	0,75თ
სულ ღირებულება		173 ლარი და 75 თეთრი			

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის
საჯარო სკოლის დირექტორი /ნ. სადილიანი/

შპს ორგსერვისის დირექტორი / ხ. ნემსაძე /